გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 31 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 31

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა
1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.
ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


ვაუწყებთ „ივერიის" ტფილისის ხელის მომწერლებს, რომ ამას შემდეგ დილის დეპეშები ნაშუადღევს დაურიგდებათ.

## რედაქციისაგან

1 თებერვლიდან ჰმოქმედობს ქუთაისში განყოფილება ჩვენის გაზეთის კანტორისა. ხელის-მომწერთ და აგრეთვე განცხადების დაბეჭდვის მსურველთ ქუთაისში შეუძლიანთ მიჰმართონ პირდაპირ ამ კანტორას.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**სიღნაღში**:—პეტრე მაჰავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія".


თავადი თათარხან თენგიზისძე დადეშქელიანი ძმებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ტირილი და ორმოცის წირვა

**თავადის ლევან თენგიზის ძის დადეშქელიანისა,**

გარდაცვალებულის 21-ს დეკემბერს 1903 წ. და დასაფლავებულის 3-ს იანვარს საგვარეულო სამარხში იქნება 18 მარტს 1904 წლისას. (3—3)



როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივისცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემიძე**.



საკვირველიერო რეპერტუარი

## ქართული თეატრი

შაბათს, 7 თებერვალს,
ბენეფისი მეორე ხარისხოვან არტისტებისა,
სუფლიორისა და სცენარიუსისა.

## სამშობლო

დრ. 5 მოქ. ერისთავისა.

კვირას, 8 თებერვალს,
უკანასკნელი წარმოდგენა
ბენეფისი რეჟისორის თ. აკაკი წერეთლისა
ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

## თამარ ცბიერი

დრ. 5 მოქ. აკაკი წერეთლისა.
ყველა წარმოდგენებზე—ადგილების ფასი მომატებულია.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
**შაბათს, 7 თებერვალს, 1904 წ.**
ორი წარმოდგენაა: დილით—დაკლებული ფასებით
წარმოდგენილი იქმნება

## ინჟინრის ნათლიდედები

ოპერა 4 მოქ. მუსიკა ოტტო ნიკოლაისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, კარტავინა, სელიუკ-როზნატოვსკაია, ბ-ნნი რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, რჟანოვი, ფეოდოროვი, გრინიოვი, გავრილოვი.
კაპელმეისტერი ი. ა. პოზენი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
დასაწყისი $12^1/_2$ საათ. დღით
საღამოს ბენეფისი უფროსის რეჟისორის უფროსის ნ. ნ. ბოგოლიუბოვისა, მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით; წარმოდგენილი იქმნება

## ტოსკა

ოპერა 3 მოქ., მუსიკა პუჩინისა.



წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული „კედლის" და „საქართველოს" კალენდარი იყიდება ფას დაკლებით, ე. ი. „კედლის კალენდარი 55 კაპ., საქართველოს კალენდარი 80 კ. ვინც ორსავე კალენდარს ერთად იყიდის საზოგადოებაში, იმას ორივე კალენდარი დაეთმობა 1 მან. და 25 კაპ. ცალკე საქართველოს კალენდარი მშვენიერის ყდით—1 მან. და 25 კაპ.



გამოვიდა და იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.
აკაკისა
ფასი 1 მანათი.



## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სიფილისის, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აველიხიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.



ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, № 46.



## კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**მ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მოსინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


## ტფილისი

დღეს, 7 თებერვალს ქართულ დრამატიულ დასის მიერ ახალგაზრდა არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნება „სამშობლო" დრამა 5 მოქ. გ. ერისთავისა. წარმოდგენა მით უფრო საყურადღებოა, რომ მთავარი როლები ახალგაზრდა მსახიობთა შორის არის განაწილებული.

17 თებერვალს დანიშნულია ტფილისის კრუჟოკის წევრთა კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის ფულის გადადების შესახებ. აზრად აქვთ 1,000 მანეთი გადასდონ.

ბაქოში, პარაკლისას გადახდის დროს გადასროლილ ყუმბარას, როგორც „კავკაზ"-ი იუწყება, სხვათა შორის იქაურ გიმნაზიის ორი მოსწავლე დაუშავებია.

უმთავრეს სამხედრო სასამართლოს განკარგულებით, ვლადივოსტოკის ოლქის სამხედრო სასამართლოს შტატის გასაძლიერებლად იგზავნებიან კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოდან: წევრი გენერალ-მაიორი ლევაშოვი, ბრალმდებლის თანაშემწე პოლკოვნიკი ერმაკოვსკი, გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი ევრევი, კანდიდატი სამხედრო სასამართლოს თანამდებობაზედ კაპიტანი ველიამინოვი და მდივნის თანაშემწე კოლლეჟსკი სეკრეტარი მელიქ-ბაბახანოვი. ეს ზემოხსენებულნი პირნი დანიშნულ ადგილს უნდა გაემგზავრნენ თებერვლამდე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

**პეტერბურგი.** ობერ-შტალმეისტერმა გრაფმა ორლოვ-დავიდოვმა წითელ ჯვარს ერთი მილიონი მანეთი შესწირა.—ფინანსთა სამინისტროს გამგეს პლესკეს უმოწყალესად ებრძანა, ამ თანამდებობას თავი გაანებოს და სახელმწიფო საბჭოს წევრად იყოს.—შეწირულებანი სამხედრო საჭიროებისათვის: სიზრანის საბჭომ 2,000 მანეთი შესწირა წითელ ჯვარს, 1,000 მან.—მეომართა ოჯახებს, ხელის მოწერით 4,000 მანეთი შეაგროვა; სახელმწიფო ბანკის ბორისოგლებსკის განყოფილების მოხელეთ გადასწყვიტეს, ვიდრე ომიანობა გათავდებოდეს, ჯამაგირებიდან 1% გადასდონ.—სუმის რეალურ სასწავლებლის მოსწავლეთ—200 მ. ეკატერინოსლავის საბჭომ—50,000 მან., რჟევის საბჭომ—1,000 მან., ცეცხლისაგან დამზღვევმა საზოგადოებამ—500 მან., ეკატერინოდარის მცხოვრებმა ბელენკომ—1,000 მან., სუვალკის ქალაქის კასამ—1,000 მ., დრამატიულმა საზოგადოებამ—500 მ., ორენბურგის მეორე კადეტთა კორპუსის დირექტორის მეუღლის მიერ გამართულ საღამოდგან დარჩენილი ფულიდგან—1,300 მ., ჩემბარის საბჭომ—1,000 მანეთი, კავკავის საბჭომ—500 მანეთი, ვარშავის რუსთა საკრებულომ 10,000 მან., ყაზანის საერობო საკრებულომ 300,000 მან. სამხედრო საჭიროებისათვის და 100,000 მან. დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად, გამგეობამ 1,000 მან., მექადრაკეთა კლუბმა 1,000 მან., სოხუმის საბჭომ - 10,000 მან. და ვიატკის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ გადასწყვიტა პროცენტი გადასდოს 1903 წლის დივიდენდისა.

**კურსკი.** მაზრებიდან იუწყებიან, მრავალი პატრიოტული მანიფესტაციები იმართება. საზოგადოებანი დიდძალ ფულს სწირავენ რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვისათ.

**კიევი.** ბულგარელ და სერბიელ მოსწავლე ახალგაზდობის სურვილით, გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რათა უფალმან გამარჯვება მიანიჭოს რუსეთს.—სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის გზათა უფროსმა დაარსა საგანგებო კომიტეტი შეწირულებათა მოსაგროვებლად. რკინის გზის მოხელეთ დაადგინეს 1% გადასდოს ჯამაგირიდან რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის. მოხელეთა რიცხვი 40,000. იმედი აქვთ 15,000 მანეთი შეწირულება შეაგროვონ ყოველ თვიურად.

**სიმბირსკი**. გუბერნიის წინამძღოლის მეუღლის მეთაურობით აქ ქალთა საზოგადოება არსდება მხედართა სახლობის შემწეობის აღმოსაჩენად.

**კურგანი**. აქ არსდება კომიტეტი, რომ [illegible]არიბეს დაბალ სათადარიგო ჯარისკაცთა სახლობებს შემწეობა აღმოუჩინონ.

**მოსკოვი**. ვაჭართა კლუბმა დაჭრილთათვის გადასდო 50 ათასი მანეთი. ფლოტისათვის შეჰკრიბეს 40 ათასი მანეთი. საგუბერნიო ერობისაგან მოელიან 100 ათას მ. სანიტარულ რაზმის გამოსაწყობად.

**აკმოლინსკი**. დიდი აღტაცებაა. საბჭომ გადასდო ათასი მ. წითელი ჯვრის საჭიროებათათვის. პარაკლისზე დამსწრეთ შეაგროვეს 610 მ.

**ვიტებსკი**. ვიტებსკის ებრაელთა საზოგადოებამ წითელი ჯვრისათვის მოაგროვა 2 ათასი მან. და ეს პირველი წვლილი გადასცა გუბერნატორს.

**[illegible]ოძე**. ოფიციალური განცხადების თანახმად, იაპონიის ნაღმიანი გემებს კვირა დილით ახლად დასცემიან პორტ-არტურს. რუსთა მოდარაჯე გემს, რომელიც ნავთსადგურში იყო, აგრეთვე მის გარეშე მყოფს, ნაღმი დაუშინეს. იაპონელთა გემებს არავითარიმე ზიანი არ მისცემია.

**ალჟირი**. გემი „ალმაზი“, რომელიც აქ იდგა, ზღვაში გავიდა.

**ვაშინგტონი**. ამერიკის სეულელმა ელჩმა დეპეშით მოიწერა,—კორეის მთავრობა გამოაცხადა, რომ ნავთ-სადგური ჩეიუ მთელის ქვეყნის სავაჭრო ნავთ-სადგური იქნებაო.

**სან-ლუი**. რუსეთს განზრახვა აქვს მსოფლიო გამოფენაზე არ მიიღოს მონაწილეობა. იაპონიის წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ ითხოვა,—ის ადგილი, რომელიც რუსეთს ჰქონდა დათმობილი, ჩვენ მოგვეცით ჩვენის განყოფილების შესა[illegible]ებლადაო.

**ტოკიო**. („რეიტერის სააგენტო“). იუწყებიან,—1 თებერვალს ახლად დაეცნენ პორტ-არტურსაო. დიდ თოვლიან ქარიშხლის გამო მხოლოდ ორმა იაპონიის გემმა მიაღწია ნავთ-სადგურის შესავალთან და თვითეული ცალკ-ცალკე ებრძოდა. ნაღმიანი გემი „ასაგირი“ დილის სამ საათზე მოვიდა; ციხიდანა და რუსის სადარაჯო გემებიდან დიდი ცეცხლი აუტეხეს. გემებმა რამდენიმე ნაღმი ისროლა; რა შედეგი მოჰყვა, არა სჩანს; თითონაც მტრის სადარაჯო გემებს ძლიერი ცეცხლი აუტეხა იქნამდე, მინამ მტრის გემებუკან არ დაიხიეს. ნაღმიანი გემი „ბოგატირი“ მივიდა ხუთს საათზე და ნავთსადგურის შესავალთან შეეხჩა ორს რუსეთის სამხედრო გემს, რომლის სახელებიც არ ვუწყით; ერთს ამ გემთაგანს ნაღმი ესროლა, რომელიც აფეთქდა.

**ყაზანი**. თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრება იყო; გადაიხადეს პარაკლისი, რომ გამარჯვება მოენიჭოს რუსეთის მხედრობას. საერო ჰიმნი ხალხის თხოვნით რამდენჯერმე განმეორეს. დადგენილ იქმნა, რომ ხელმწიფე იმპერატორს გამოუცხადონ დეპეშით უქვეშევრდომილესნი გრძნობანი.

ყაზანის თავად-აზნაურთ ადრესი მიართვეს ხელმწიფე იმპერატრიცას, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ შესდგეს სანიტართა რაზმი ყაზანის თავად-აზნაურთა სახლობაზედ. ამისთვის გადადებულ იქმნა ერთხანად 4,000 მან. და ყოველ თვეობით 3,000 მან. ითხოვეს აგრეთვე ნებართვა, რომ საგენერალო შტაბის ოფიცრებმა ლექციები იკითხონ სათავად-აზნაურო დარბაზში წითელის ჯვრის სასარგებლოდ; ლექციები იქნება შორეულ-აღმოსავლეთის ადგილ-მდებარეობისა, მტრის ძალისა და ომიანობის მსვლელობის შესახებ.

**სამარა**. გუბერნატორის მეუღლის სადგომში დაიწყეს მუშაობა სამხედრო საავადმყოფოსთვის მასალათა დასამზადებლად.

**ნოვოჩერკასკი**. დონის ოფიცრები ეწერებიან თავისუფალ მეომართა რაზმში შორეულ-აღმოსავლეთში საბრძოლველად. 20 თავისუფალ ადგილზედ 70 მეტი ოფიცერი ჩაეწერა.

**შანჰაი**. („რეიტერის სააგენტო“). ჩინეთის მოხელეებმა წინადადება მისცეს რუსეთის საკანონერკო ნავს «მანჯურიას»,—დაუყოვნებლივ დასტოვე შანჰაის ნავთსადგურიო; მაინც ეს გემი ჯერ კიდევ ნავთსადგურში სდგას და უფროსმა განაცხადა,—ადმირალისაგან ბრძანებას ველიო.

**ტიანძინი**. («რეიტერის სააგენტო»), როგორც რუსეთის წყაროებიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ხარბინსა და მთელს მანჯურიაში დაპატიმრებულ იქმნენ ყველა იაპონელნი, რადგანაც მათ შორის ასზედ მეტი კაცი აშკარად ჯაშუშობდა. მათ შორის 60 კაცს იაპონიის მთავარ შტაბის მზვერავთა განყოფილებასთან ჰქონდა დამოკიდებულება; ქალები და ბავშვები, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ, გაანთავისუფლეს.

60 სწრაფი მატარებელი ჩინელ ჯარისკაცებითურთ საზღვრებისაკენ მიდის. ჯარებს უფროსობს ტაოტაი ვანგი და დაყენებული იქნება ციანანში. 10,000 ჯარის-კაცი მაიუკუნის უფროსობით დაყენებული იქნება შახოცოს.

**ტოკიო**. ოფიციალურად იუწყებიან, რომ იაპონიის ფლოტის ნაღმიანმა გემებმა 31 იანვარს, ნამქერის დროს, მიაღწიეს პორტ-არტურამდე. 2 ს. და 30 წუთზედაო. გემმა „ასაგირმა“ რუსეთის გემებიდგან ნასროლ ყუმბარების ცეცხლში გაიარა და გასწია რუსეთის გემებისაკენ და ესროლა ნაღმი. აქ ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის ჯარი კორეის საზღვარზედ გადავიდაო.

**ტიანძინი**. („რეიტ. სააგ“.) როგორც პორტ-არტურიდგან კერძოდ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რუსეთის გემი ზღვაში გასულა.

**ხაკოდატე**. („რეიტ. სააგ“.) იაპონიის კრეისერმა „ტოკაო“-მ შეიპყრო რუსეთის სავაჭრო გემები „ბობრიკი“ და „ნადეჟდა“ იმიტომ, რომ მათ ვერ მოასწრეს დაეტოვებინათ იაპონიის წყლები 3 თებერვლამდე.

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული 5 თებერვალს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან უქვეშევრდომილესად მოვახსენო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას დაწვრილებითი ცნობანი პორტ-არტურთან ბრძოლისა 27 იანვარს. ვერაგულად დამე მოტანილ ნაღმიან იერიშის შემდეგ, მეორე დღეს, 27 იანვარს, დილის $10^1/_2$ საათზედ, იაპონიის ფლოტი, რომელშიაც 16 საომარი ხომალდი იყო, გამოჩნდა პორტ-არტურის წინა. მისი მოახლოვება შენიშნულ იქმნა სანაპირო სანიშნებელ სადგურიდგან, აგრეთვე ჩვენის ესკადრის გემებიდან. ჩვენს ესკადრაში, რომელიც ვიცე-ადმირალ სტირკის და უნცროს მედროშე კონტრ-ადმირალ თავად უხტომსკის დროშას აფრიალებდა, იყო 5 ჯავშნიანი გემი, 5 კრეისერი პირველისა და მეორე ხარისხისა და 15 საესკადრო ნაღმიანი გემი. ყველანი საომრად სრულიად გამზადებულნი იდგნენ გარე რეიდში. იმ წუთსვე სანაპირო ბატარეები მოემზადნენ მტრის დასახვედრად. ჩვენმა ესკადრამ აიკრიფა ღუზები ბრძოლის წესისაებრ და, გავარდა თუ არა მტრის ზარბაზანი, ჩვენმა ფლოტმა და ბატარეებმაც მისცეს პასუხი ერთობილის სროლით. უფრო ძრიელ დაუშინა მტერმა ყუმბარები ესკადრის გემებსა და აგრეთვე ელექტრონის კლდის ბატარეიას № 15 და ოქროს მთის № 13. ამას გარდა, ყუმბარებს ესროდა მტერი დანარჩენ სანაპირო ბატარეებსაც, უფროკი № 17 და 18. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ: ჯავშნიანი გემები პეტრეპავლოვსკი ვიცე-ადმირალის სტარკისა, კომანდირია კაპიტანი 1 ხარისხისა იაკოვლევი, „სევასტოპოლი“—კაპიტანი 1 ხარისხისა ჩერნიშევი, „პოლტავა“—კაპიტანი 1 ხარისხისა უსპენსკი, „პერესვეტი“, დროშა კონტრ-ადმირალის თ. უხტომსკისა, კომანდირი კაპიტანი 1 ხარისხისა ბოისმანი, „პობედა“—კაპიტანი 1 ხარისხისა ზაცარენნი; კრეისერები 1 ხარისხისა: „ბაიანი“—კაპიტანი 1 ხარისხისა ვირენი, „დიანა“—კაპიტანი 1 ხარისხისა ზალესსკი, „ასკოლდი“—კაპიტანი 1 ხარისხის გრამმატჩიკოვი, კრეისერები 2 ხარისხისა: „ბაიარონი“—კაპიტანი 2 ხარისხისა სარიჩევი, „ნოვიკი“—კაპიტანი 2 ხარისხისა ესსენი. მიიღეს აგრეთვე მონაწილეობა ბრძოლაში ღუზა-ჩაშვებით მდგომმა ჯავშნიან გემებმა „ცესარევიჩი“—კაპიტანი 1 ხარისხისა გრიგოროვიჩი, „რეტვიზანი“ კაპიტანი ხარისხისა ჩენსნოვიჩი, 1 ხარისხის კრეისერი «პალადა» კაპიტანი 1 ხარისხისა კასსოვიჩი, წინად ნაღმით დაზიანებულნი და აგრეთვე სატრანსპორტო „ანგარა“ კაპიტანი 2 ხარისხისა სუხომლინი. საესკადრო ნაღმის მიმცემი გემები პირველ და მეორე რაზმისა უფროსებითურთ: კაპიტანი 1 ხარისხისა ნატუსევიჩი და კაპიტანი 2 ხარიხისას გინტერი, „ვნიმატელნი“—კაპიტანი 2 ხარისხისა სიმონი, „ვლასტნი“—ლეიტენანტი კარცოვი, „ბოევოი“—კაპიტანი 2 ხარისხისა ელისეევი, „ბეზსტრაშნი“—კაპიტანი 2 ხარისხისა ციმმერმანი, „ბეზშუმნი“ ლეიტენანტი რიხტერი, «გროზნი» ლეიტენანტი შელტინგი, «რაზიაშჩი» კაპიტანი 2 ხარისხისა სიმონოვი, «რეშიტელნი» ლეიტენანტი კორნილიევი, «სილნი» ლეიტენანტი ხოდოროვიჩი, «სტერეგუშჩი» ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი 2, «სტოროჟევოი» კაპიტანი 2 ხარისხისა კიტკინი I, «სმელი» კაპიტანი 2 ხარისხისა შულცი, «სერდიტი» ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი I, ყველანი ომის დროს ესკადრის მარჯვნივ იყვნენ, 10—15 კაბელტოვის მანძილზე, და უცდიდნენ, სანამ მტერს დაუახლოვდებოდნენ და შეებმოდნენ. ზღვის ნაპირის ბატარეებს განაგებდა კვანტუნის ციხის არტილერიის კომანდირი გენერალ-მაიორი ბელოვი. როგორი შედეგი ჰქონდა ომს, ჯერ ძნელი გამოსაკვლევია, ხოლო, როგორც ჩვენი გემებიდანს სჩანდა, საფიქრებელია, რომ მტრის რამდენიმე გემი დაზიანდა და ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ ომი შესწყდა, თუმცა მტერს ბევრად მეტი ძალა ჰქონდა. როგორც სჩანს ომის დროს უფროს გამგებელთა მოხსენებათაგან, გემების კომანდები და არტილერიის მოხელენი ჩინებულის გულადობითა, მტკიცედ და წესიერად მოქმედებდნენ, რის გამოც, თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნებისამებრ, დავუნიშნე შემდეგი საჩუქრები: ექვს-ექვსი სამხედრო ორდენის მე-2 ხარისხის გემებისას, რომელთა კომანდაც 200 კაცს აღემატება, ოთხ-ოთხი ნიშანი თითო როტას დანარჩენ მეორე ხარისხის გემებისას, თითო ნიშანი ყოველ ნაღმიან გემს და ერთ ნიშანი ზოლოტოი გორის მანიშნებელ სადგურის მოსამსახურეთ, რომელნიც მტრის გემების გახშირებულ სროლის დროს მოქმედებდნენ; ბატარეებს: № 15—ოთხი ნიშანი და № 13—სამი ნიშანი და მე-7 როტის კანონირს ნიკიფორ ალეხინს ასეთივე სახელობრივი ნიშანი იმისათვის, რომ თავში დაჭრილი, როდესაც კრილობა შეუხვიეს, კვალად თავის რაზმში გაჩნდა. ჩვენი დანაკლისი: ესკადრაზე დაჭრილია 5 აფიცერი, მოკლულია დაბალი ჯარის კაცი 14 დაჭრილია 69, ციხის ჯარში მოკლულია ერთი დაბალი ჯარის კაცი, მძიმედ დაჭრილია 1 და მსუბუქად—5.

თავდახრით მოგახსენებ რა ყოველსა ზემორე აღნიშნულს თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას კეთილ-განსაჭობად, მაქვს ბედნიერება უქვეშევრდომილესად გაუწყოთ, რომ როგორც მეზღვაურნი, ისე ქვეითი ჯარი შორეულ აღმოსავლეთისა აღფრთოვანებულნი არიან დიდის სურვილით, რომ გულ-და-გულ შეხვდნენ კადნიერს მტერს და პატიოსნებით შეასრულონ თავისი მოვალეობა სათაყვანებელ თვით-მპყრობელ წინამძღოლის წინაშე და მტკიცედა და შეურყევლად იბრძოლონ ძვირფასის სამშობლოს სახელისა და დიდებისათვის.

**პორტ-არტური**. ნამესტნიკმა გამოაცხადა, რომელ ჯარის კაცებს ფლოტისას უმაღლესად რა ჯილდო მიეცათ სამხედრო ორდენისა პირველი და მეორე ხარისხის გემთა როტაზე, რომელშიაც არა უმეტეს 200 კაცისა ითვლება, ექვსი-ექვსი მეორე ხარისხის გემთა როტაზე ოთხი, თითო ნაღმიან-გემთა კომანდისათვის და თითოც ნიშნის მიმცემ სადგურ „ოქროს მთის“ მოხელეთათვის; ეს ჯილდოები ებოძათ იმათ, ვინც მტრის ცეცხლი გამოიარეს.—„რეიტერის სააგენტოს“ ცნობა, ვითომ ჩინელთა ბრბომ ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტა ინკოუს მიდამოებშიო და ხმელეთზე მიმოსვლა დალნისთან შეწყვეტილია, ბოროტ-განზრახული ჭორია.—როგორც პეკინიდგან იუწყებიან, მანჯურიში იაპონიას შეუტანია დიდძალი მასალა რუსული ქაღალდის ფულის გასაკეთებლად, რომ რუსეთის ხაზინას ზარალი მოუტანოს.—გორინის და ციციკარის მოხელენი ურჩევენ ჩინელ მცხოვრებლებს მშვიდად იყვნენ და ნუ ერწმუნებიან იაპონელთაგან გავრცელებულს ხმებს.

**ტოკიო**. („რეიტერის სააგენტო“). გემის ნოტას გამო იაპონიამ თანხმობა გამოაცხადა ჩინეთის ნეიტრალობის შესახებ, მანჯურიის გარდა. იაპონია იტოვებს თავისთვის უფლებას, რამდენჯერაც-კი რუსეთი ჩინეთის ნეიტრალიტეტს დაარღვევს, იმდენჯერ მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი.

**ჩემულპო**. ჩემულპოსთან ზღვაზე ბრძოლის დროს კრეისერ „ვარიაგზე“ და საკანონერო ნავ „კორეეცზე“ დაიღუპა 456 კაცი, ამათგან 17 აფიცერია. ვინც ცოცხალი დარჩა, საფრანგეთის კრეისერ „პასკალით“ შანხაის გაისტუმრეს. იმათგან 265 კაცი, ამათში 15 აფიცერი, გადაარჩინეს კრეისერებმა საფრანგეთისამ „პასკალმა“, ინგლისისამ „ტალბოტმა“ და იტალიისამ „ელბამ“.

**ტოკიო**. („რეიტერის სააგენტო“). საზღვაო დეპარტამენტს საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ის რუსეთის გემი, რომელიც დააზიანა თებერვლის 1-ს ნაღმიან გემის „ბოგატორის“ ყუმბარამ, იყო კრეისერი „ბოიანი“.

**პორტ-არტური**. ნაგასაკს შეპყრობილ იქმნენ იაპონელთაგან რუსეთის გემები „მანჯურია“, „შილკა“ და „მუკდენი“. ინგლისელები და იაპონელნი ნიშნს უგებენ რუსეთს ზარალის გამო და ავრცელებენ დაუჯერებელ ჭორებს. გერმანელები რუსეთის სადღეგრძელოსა სვამენ. შეკეთება ჯავშნიან გემების „ცესარევიჩისა“ და „რეტვიზანისა“ და კრეისერის „პალლადისა“ სისწრაფით მიდის წინ.

**პორტ-არტური**. მანჯურიაში სიმშვიდეა. ეტყობა, ორთავ მხარე ჯარების შეგროვებას სცდილობს. გუშინ ზღვაში ტალიენვანთან გამოჩნდა მრავლად სანათები, რომელნიც ისევ მალე მიიმალა. შეკეთება ნაღმიან იერიშის მიტანის გამო დაზიანებულ გემებისა ენერგიულად სწარმოებს. ნამესტნიკმა თვითონ ჩამოუარა ბატარეებს, მადლობა გადაუხადა არტილერიის ჯარის-კაცთ და უბოძა ჯვრები 27 იანვრის ბრძოლისათვის.—ცნობანია მიღებული, რომ იაპონიის ფლოტი ორად არის გაყოფილი; ერთი ეხმარება ჯარის გადასხმას ჩემულპოს და ფუზანს, ხოლო მეორე იცავს სანაპიროებს ვლადივოსტოკის ესკადრის თავდასხმისაგან. მანჯურიის მკვიდრნი სიამოვნებით უთმობენ ჯარს ფასით ცხენებს და სანოვაგეს. იაპონიიდან ცნობანი მოდის, რომ იქ მკვიდრთ მამულიშვილური აღფრთოვანება არ ეტყობათ; სჩანს, რომ ომი განგებ გამოწვეული ომის მომხრე დასისა და ინგლისის წაქეზებით, სასიამოვნო არ არის მკვიდრთათვის, რომელთაც ვალად ედებათ გაუძლვნენ ომიანობის ხარჯს.

**პორტ-არტური**. არ გამართლდა ცნობანი, ვითომ მატსმაის ყუმბარები დაუშინესო.— პორტ-არტურმა ყუმბარების სროლის შემდეგ თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო.

6 თებერვალი.

**დიაკოვარი**. აქ ხმა დადის, რომ ალბანელებს ოსმალების ერთი ბატალიონი მთლად ამოუწყვეტიათო. შემსი-ფაშა დაუჭრიათ. ურჩ ალბანელების რიცხვი, რომლიც 30,000 კაცამდეა, თანდათან მატულობს. სერბიამ დიდნი სახელმწიფონი დაარწმუნა, წესიერების გზას არ გადავცილდებიო.

**სოფია** („კორ. ბიურო“). ბოლგარიამ ომიანობის წესი შემოიღო იმ ქვეყნებში, რომელიც ოსმალეთის მოსამზღვრეა,—რათა დააბრკოლოს ჯუფთების შესევა ოსმალეთში.

**შანჰაი**. („სტეფ. სააგ“.) აქ მოვიდა საფრანგეთის კრეისერი „პასკალი“ და მოიყვანა კრეისერ „ვარიაგისა“ და კანორეკა „კორეეცის“ მეზღვაურნი, რომელნიც კი ცოცხალნი გადარჩნენ. აქედან მიდის საიგონს, საცა ეს მეზღვაურნი ომის გათავებამდე უნდა დარჩნენ. „პასკალი“ თან წაიყვანს შანჰაიდგან საფრანგეთის იმ ოფიცრებს, რომელნიც როგორც ამბობენ სეულში უნდა წასულიყვნენ საფრანგეთის მისიის ღასაცველად.

**ვუსუნი**. აქ მოელიან ინგლისის კრეისერს „ტალბოტს“, რომელმაც გონკონგში უნდა მიიყვანოს ზედ მყოფნი რუსნი.

**ბერლინი**. იმპერატორი ვილჰელმი გაემგზავრება ხმელთა შუა ზღვისკენ. ჯერ გენუას მივა და შემდეგ მალტისკენ გაემართება. დღე გამგზავრებისა არ არის დანიშნული, რადგან იმპერატრიცა უქეიფობს. ექიმების რჩევით, იმპერატრიცა არ გაჰყვება იმპერატორს. ჟურნალ-გაზეთობა ბჭობს რუსეთის მთავრობის ცნობის შესახებ. ეგ ცნობა ომიანობის გამო დაიბეჭდა. უფრო საინტერესოდ მიაჩნიათ ადგილი ცნობისა, საცა სწერია, რომ ომი ხმელეთზე ჯერ კიდევ მალე არ იქნება.

**სოფია** („საკ. კორ.“). ნაჩევიჩი წავიდა სტამბოლს და უნდა აუწყოს, რომ ბოლგარიის მთავრობამ გადასწყვიტა, კანონიერ გზას არ გადაუხვიოს და ყოველნაირად დააბრკოლოს სარევოლიუციო მოძრაობა.

**კიუსტენდილი**. შესდგა კომიტეტი ბულგარელთა, რომელთაც სურთ თავიანთ ნებით შორეულ აღმოსავლეთს წავიდნენ.

ბულგარიის სამხედრო აგენტი პეტერბურგში, მთავარის ბრძანებით, გაემართა რუსეთის მხედრობის მთავარს სადგომში შორეულ აღმოსავლეთს და თვალ-ყური უნდა ადევნოს ომიანობის საქმეებს.

**კამიშლოვი**. სამხედრო უფროსის კანცელარიაში მრავალნი მიდიან გლეხთა და მდაბიო. მოქალაქეთა წოდებისანი, გვსურს მონაწილეობა მივიღოთ ომიანობაში შორეულ აღმოსავლეთსაო.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო მდივანი კოკოვცევი დანიშნულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს გამგედ.

---

### პეტერბურგის ბირჟა

3 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,25 |
| ბერლინში 100 მარკაში | $46.02^1/_2$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,50 |
| ლონდონში ჩეკები | 95,05 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37,72^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $5^1/_2$—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $93^1/_4$ ნის გას. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $92^1/_2$ მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 265 ნის. გას. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 307 |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 252 ნის. გას. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

---

4 თებერვალი.

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამო 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. ღამის 10 ს. 8 წ.

---


## განცხადებანი

ხეხილის ნერგები საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მსურველთ უფასოთ. (10—2)


Дозволено цензурою Тифлисъ, 6 февраля 1904 г. Тип. Е. Н. Хеладзе. Рус. базаръ, д. арм. семинаріи